# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 22

16 ივლისი 2016

ერთის მხრივ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის [illegible] №2 საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი" ) წარმოდგენილი **დირექტორის** [illegible] სახით და მეორეს მხრივ, **შ.პ.ს. „დალენი-სტუდია"** (შემდგომში მიმწოდებელი") წარმოდგენილი **მისი უფლებამოსილი პირის დარეჯან კვარაცხელიას** სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან **ბიბლიოთეკისთვის ჟურნალი „ივერიელნი" (CPV კოდი 22113000)** (შემდგომში „შესყიდვის ობიექტი") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

## 2. სახელშეკრულებო ღირებულება:

2.1 შესყიდვის ობიექტის მთლიანი სახელშეკრულებო თანხა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს **12 (თორმეტი) ლარს.**

## 3. მიწოდების პირობები

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული რაოდენობისა და მიწოდების პერიოდულობის მიხედვით .

3.2 ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია მიმწოდებლის ოფისი მდებარე მისამართზე: **ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83**

3.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი)

## 4. მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიღების ადგილი განისაზღვრება მხარეთა შორის მიღწეული შეთანხმებით.

4.4 ობიექტის მიღების ან/ და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.5 შესყიდვის ობიექტის რაოდენობის ან წუნდების მიზეზის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივატყობინებს მიმწოდებელს წერილობით.

## 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით , მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით.

5.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურებისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

## 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველს უფლება აქვს: შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებისპირობების დაცვაზე

6.2 შემსყიდველი ვალდებულია:

–მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

–უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

–წერილობით აცნობოს მიმწოდებელს ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

6. 3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით
გათვალისწინებული პირობებით.
6.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
–მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ობიექტი ხელშეკრულებით
გათვალისწინებულ ვადებში;
–გააფრთხილოს შემსყიდველი ობიექტის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ;
–დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 7 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს
პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე
ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შ უძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან
გასვლა. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის
უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი
ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარეშ უძლებელია გამოყენებულ იქნას
დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
7.3 ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას
მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
7.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად
გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების
შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს
გადახდა 0,5 % -ის ოდენობით.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან
**2016 წლის 31 ივლისამდე.**
8.2 ხელშეიკვრელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე
უფლებამოსილია ცალმხრივად ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი
ნაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული
გადაწყვეტილების და მისი ამოქმედების თარიღი.
8.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს
დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ფასები

9.1 ხელშეკრულებით ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა მოქმედების პერიოდში დასაშვებია
მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 10. ფორს–მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ
შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა
წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი
მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების
შემდეგ. 10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი
შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ
შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ
მეორე მხარეს.

## 11. დავების გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა
სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების
საფუძველზე.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12 ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს მიწოდებული ობიექტის შ მოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
12.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
12.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 13 დასკვნითი დებულებანი

13. 1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის ორ იდენტურ ეგზემპლარად, და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილიამხარეთა მიერ.

## 14. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი"

სსიპ-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
მიქავა №2 საჯარო სკოლა
საიდენტიფიკაციო კოდი:
მისამართი: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

საიდენტიფიკაციო კოდი: 242737026

ბანკის კოდი: LBRTG22
ანგარიშის № GE17LB0121113350271000

ხელმოწერა: [signature] /[illegible]/

„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი"

შ.პ.ს. „დალენი-სტუდია "

საიდენტიფიკაციო კოდი: 205060725
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83ა

საბანკო რეკვიზიტები: „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის № GE32TB0600000033467310

ხელმოწერა:

დარეჯან [illegible]

DALENI STUDIO
GEORGIA "DALENI-STUDIO" LLC 205060725

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0253655476 |
|---|---|---|

| 2 | 04/08/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 15:17:54 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

| 4 | შპს დალენი-სტუდია | 206060725 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მუჟავას თემის N2 საჯარო სკოლა | 242737026 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირების გარეშე |
|---|---|---|

| 7 | თბილისი ვაჟა-ფშაველას 83 ა. ბ18 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | X |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი |
|---|---|

თანხა ლარებში

## სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჟურ. იდუმიელი და ჩანთა | 111 | ცალი | 1.0000 | 12.0000 | 12.0000 |

| 13 | 12 - თორმეტი ლარი და ნული თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 04/08/2016 | 15:17:54 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 05/09/2016, 14:29:59

# მიღება -ჩაბარების აქტი

04 ივლისი 2016 წ.

ნ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ სსიპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჩქვალერის №2 საჯარო
ლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მურად ჯიშკარიანის სახით,
ლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „დალენი-სტუდია" (შემდგომში „მიმწოდებელი") , ვადგენთ მიღება-ჩაბარების
ს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა" გადასცა, ხოლო „შემსყიდველმა" ჩაიბარა 2016წლის 15 ივნისს
დებული №22 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 12(თორმეტი) ლარიანი წიგნი.

ბარა :

ჩააბარა:

დარეჯან კვარაცხელია